წელიწადი 1-ლი  გაზ. ფასი 3 შაური.  ტელეფონი № 76.  კვირა ოქტომბრის 1—(14) 1917

# ჩვენი ქვეყანა

**გაზეთის ფასი:**

თვიურათ . . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . . 3 შაური.

**განცხადების ფასი:**

პირველ გვერდზე პეტიტით ღირს . . 2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე . . . . 5 შაური.
ქალაქ გარედან მიღებული გამოცხადება ღირს ერთიორად.
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 6 მ. 1 საათის შემდეგ 7 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 140  ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი  № 140

## საჭიროა გაზეთის დამტარებლები

პირობების გაგება შეიძლება გაზ. „ჩვენი ქვეყნის" კანტორაში. მისამართი: თბილისის ქ. ს. მიქელაძის სახლი.

## მიხეილის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

აცხადებს, რომ ბანკი გადატანილია საკუთარ სახლებში თბილისის ქუჩაზე და მეცადინეობა დაიწყება მომავალი 2 ოკტომბრიდან.

## ქართველთა სამხედრო კავშირი

(ქუთაისის განყოფილება).

ამით აცხადებს, რომ კავშირში წევრად ჩაწერა შეუძლია ყველა ქართველ მხედარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხედრო ექიმებს და სამხედრო მოხელეებს). არა სამხედრო პირთ შეუძლიათ დამხმარე წევრად ჩაწერა. კავშირი უპარტიოა. კავშირს აქვს თავისი სამკითხველო, სადაც სწარმოებს წევრად ჩაწერა და შეწირულება მიიღება დილის 8—2 და საღამოს 5—9 საათამდის.

**მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქუჩა, ქართველთა სამხედრო კავშირი:**

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის" რედაქციასთან.

იქვე შეიძლება მოითხოვოთ შემდეგი გამოცემანი:

1. **საქართ. ეროვნულ-დემოკრ. პარტიის პროგრამა.**
2. ვ. **წერეთელი.** შეიძლება თუ არა მოისპოს კერძო საკუთრება მიწაზე.
3. ვ. **წერეთელი.** 1783 წ. ტრაქტატი, ავტონომია და ფედერაცია.
4. ტ. **მარგველაშვილი.** ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშუალებანი.

## ძმ. ურუშაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

ეს არის მივიღეთ **ბორჯომის წყალი** დიდი და პატარა ბოთლები, ფასები ზომიერია.

**ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე.** იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

**ექიმი**

**ვ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 6—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

**ექიმი შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

## იყიდება

**სულ მთლად ახალი ზამთრის ქურქი** (პალტო) ენოტის ტყავზე და კარაკულის საყელოზე. ქვარიანის ქუჩა, სახლი სოლომონ მოდებაძისა.

## ქუთაისის ქალაქის გამგეობისაგან

### დამფუძნებელი კრების არჩევნების შესახებ.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ დროებითი მთავრობის მიერ დამფუძნებელი კრების არჩევნები დანიშნულია 12 ნოემბერს 1917 წ. საარჩევნო სიების გამოქვეყნების დროთ დანიშნულია 8 ოკტომბერი ამა წლისა. ქალ. ქუთაისის მცხოვრებთა სიები უკვე შედგენილია. ამ სიებში, როგორც ქალაქის არჩევნებზე გამოირკვა, ბევრი ამრჩეველი გამოტოვებულია. არაა მათში შეტანილი აგრეთვე ის პირნი, რომელთაც 18 ივლისიდან ვიდრე ამა წლის 12 ნოემბრამდე შეუსრულდათ ან უსრულდებათ 20 წელი, და ის პირნი, რომლებიც ჩამოვიდენ ქუთაისში ამ სიების შედგენის შემდეგ. ე. ი. ამა წლის 18 ივლისის შემდეგ. ეხლა იმ პირებმა, რომელნიც შეცდომით გამოტოვებული არიან საარჩევნო სიებში ან და არ არიან შეტანილნი სიების შედგენის დროს, უნდა განაცხადონ ქალაქის გამგეობაში თავიანთ უფლებაზე, რათა შეტანილ იქნენ დამფუძნებელ კრების საარჩევნო სიაში, თან უნდა წარმოადგინონ მოწმობები თავიანთ წლოვანებაზე და რუსეთის ქვეშევრდომობაზე. ვინც არ განაცხადებს თავიანთ უფლებაზე დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობის შესახებ რვა ოკტომბრამდე ამა წლისა და არ იქნება შეტანილი საარჩევნო სიაში, ის კარგავს უფლებას არჩევნებში მონაწილეობისას.

მოქალაქეთათვის საქმის გასაადვილებლად, სიების შესაკრებათ და შესასწორებლათ ქალაქის ქვემორე ჩამოთვლილ 3 ადგილას ქალაქის გამგეობა გზავნის სპეციალურ პირთ, რომლებიც იქნებიან იქ ნაშუადღევის ორი საათიდან საღამოს 9 საათამდი (ძველი დროით).

ეს ადგილები შემდეგია:

1) ცენტრალურ საარჩევნო ნაწილში—ქალაქის გამგეობის სადგომი
2) სამთო საარჩევნო ნაწილში—რეალური სასწავლებლის სადგომი
3) წყალგალმა საარჩევნო ნაწილში—ქართული გიმნაზიის სადგომი.

## კათალიკოზის კურთხევა.

დღეს დიდი დღეა საქართველოსთვის!

დღეს მცხეთის ტაძარში ქართველ ეპისკოპოზთა კრება სრულიად საქართველოს კათალიკოზს აკურთხებს. 12 მარტს გადადგმული რევოლუციური ნაბიჯი სამღვდელოებისა დღეს დიდებულათ დაგვირგვინდება. უფლება აყრილ საქართველოს ეკლესიას დღეს მიეცემა თავისუფლება. სათავე ჩანგრეულ საქართველოს სამღვდელოებას დღეს დაუდგება ღირსეული მეთაური. საქართველოს ეკლესიის საჭეს ხელში დაიჭერს ტანჯული შვილი ამა ეკლესიისა ეპისკოპოსი კირიონი.

მწარე წარსულით გულ დამწვარი და სამშობლო ეკლესიის აუტანელი ტანჯვაებით შეწუხებულნი ქართველნი დღეს დაინახავენ სინათლეს.

დიახ! დღეს დევინახავთ მშობლიური ეკლესიის სპეტაკ და კეკლუც სახეს, რომელსაც 117 წლის მონობამ და საპყრობილეს ბნელეთში ყოფნამ ფერი დაუკარგა და სიცოცხლე გამოაცალა. ტორმასოვისა და მის მზგავს ვერაგ მხედართა ხელით შებღალული ივერიის წმინდა ეკლესია დღეს გაიწმინდება, გაბრწყინდება და სხივ მოსილი კვლავ მსოფლიო ყურადღებას მიიპყრობს.

**ქართველმა სამღვდელოებამ გაიმარჯვა!**

გაიმარჯვა მიტომ, რომ მას **შეგნებულმა ერმა ღირსეულათ მხარი დაუჭირა.**

გაიმარჯვა სიმართლემ და ჭეშმარიტებამ! ძალ-მომრეობა დამარცხდა, ჩაგრული აღსდგა! ძალმომრეობით საუკუნეში ნაშენი სიმაგრე სიმართლის სხივმა ერთს წუთს დაშალა. რაც პოლიტიკურ სიბეცეს შეურყევლად მიაჩდა—რევოლუციამ ერთი დაკვრით დაამსხვრია.

**აი სამართალი განგებისა!**

**აი განაჩენი ისტორიისა!**

დიდებული მცხეთის ტაძარი, საქართველოს ემბაზათ წოდებული, დღემდი მტრისაგან დაჩრდილული, დღეს გაბრწყინდება და ქართველთა აღტაცების საუნჯეთ იქცევა.

დღეს ქართველი ერი მცხეთის ტაძარში ერთი გრძნობით აღჭურვილი გამარჯვებას იდღესასწაულებს, ზეცას მადლობას შესწირავს და ქვესკნელს წინაპართა ანდერძის შესრულების ამბავს გადასცემს.

დღეს სვეტი ცხოვლის ტაძარში სრულიად საქართველოს კათალიკოზ პატრიარქი აიღებს ჯვარს და კვლავ ქართველ ერს წინ წაუძღვება. დღეს საქართველოს კათალიკოზი მიიღებს გამარჯვებული ქართველი ერის მეთაურობას, მიიბარებს მადლიერი ერის საიდუმლოს, აღნუსხავს მის უწმინდეს ზრახვებს და ერთი დიდებული მიზნებისაკენ მიაპყრობს მათ.

დღევანდელი დღე საქართველოს ისტორიის კაბადონზე წარუხოცელი ასოებით აღინიშნება. დღეს ქართველი ერი გრძნობით და რწმენით გაერთიანებული სამშობლოს საკურთხეველთან დაიჩოქებს, ერთობის მრწამს იტყვის, სამშობლოსათვის თავგანწირულ სამსახურს გადასწყვეტს, გულის ფიცარზე აღთქმას დასწერს, ღერბათ თავის მოქმედებას დაუსვამს და დღევანდელი თარიღით მომავალ თაობას ანდერძათ გადასცემს.

მცხეთა არის ემბაზი საქართველოსი, იქ მოინათლა ქართველი ერი და იქ იშვა საქართველოს ეკლესია. იქვე აღდგება ვერაგი ხელით მოსპობილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

სწორეთ საგულისხმოა დღევანდელი დღე!

ბრძოლა გამარჯვებით გათავდა. ბრძოლა ვერაგ მტერთან; ბრძოლა ბნელ, ტლანქ ძალასთან. ბევრი ტანჯვა გადავიტანეთ და გამარჯვება მით უფრო სასიამოვნოა. ღრმა მწუხარებაში ვიყავით და სიხარულიც მით უფრო ძლიერია.

**აღსდგა საქართველოს ეკლესია—აღდგება თვით საქართველოც!**

მივესალმოთ **თავისუფალ ეკლესიას,** მოველოდეთ **თავისუფალ საქართველოს!**

ზეცავ კარგი ყურით ისმინე—დედამიწავ წმინდის გულით მიიღე...

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

## მიწის კითხვა და ანარქია.

რუსეთში აგრარული უწესოება საყოველთაო ხასიათს ღებულობს. მიწის სოციალიზაციის გამოცხადებას საბედისწერო შედეგი მოყვა. შიდა გუბერნიებში აგრარულ ნიადაგზე ანარქიის ცეცხლი ანთია. პირველ ხანებში ისაკუთრებდენ დიდ მემამულეთა მფლობელობას, მერე დაიწყეს მამულების დაწვა. ამ ჟამათ გარჩევა აღარ არის ანარქიულათ განწყობილი გლეხები ყველაფერს სპობენ. კაზლოვის მაზრაში ცეცხლს მისცეს გლეხთა შენობები, საცდელ მინდვრების მოწყობილობა და სკოლა. ტამბოვის მაზრა სრულიად გავერანებულია. გლეხი იტაცებს მამულს და იგი თავის საკუთრებათ უნდა აქციოს. იმავე კაზლოვის მაზრაში გლეხებს მამულის გაყოფის დროს შეტაკება მოუვიდათ. აგრარულ ანარქიის მიერ შექმნილი ზარალი დიდია. მარტო კერძო მესაკუთრეთა დანაკლისი 300 მილიონამდე აღწევს. ნაანგარიშევი არ არის, თუ რამდენი ზარალი მოუვიდა ხაზინას. წელს შეფერხდა მეურნეობა. დიდძალი მამული დაუთესელი დარჩა. დამუშავებულ მამულიდან ზოგ ადგილას გლეხები მეპატრონეთ არაფერს აძლევენ. აგრარული ანარქია ძლიერდება და მთელ რუსეთს ედება.

ისინი, ვინც კაბინეთში მსხდომნი გლეხს მიწას და თავისუფლებას პირდებოდენ, ახლა შეშფოთებული არიან. თუ შექმნილი მდგომარეობა გაგრძელდა, ცხადია რუსეთს უდიდესი განსაცდელი მოელის. რუსეთის მეურნეობა დაეცემა და ქვეყანა სიმშილის მსხვერპლი გახდება. ტყეებს უჩენენ ცეცხლს და ანადგურებენ, რომელიც აგრეთვე საფრთხეს უმზადებს სახელმწიფოს.

მართალი იყო ბ ნი გოლგოთსკი, როცა ამას წინათ გაზ. „რუსკ. სლოვო"-ს ფურცლებზე სტატისტიკის დახმარებით ამტკიცებდა, რომ მიწის სოციალიზაცია წარმოუდგენელია რუსეთის ცხოვრებისთვის. სოციალიზაცია რომ განხორციელდეს და გლეხებისადმი მისაცემი მიწის საერთო ნორმათ 10 დესეტინა დავაწესოთ, მაშინ რუსეთს 10 მილიონი დესეტინა მიწა არა ყოფნის. ამის გარდა კიდევ არის სერიოზული დაბრკოლება. ისეთი გლეხები, რომელთაც მიწა სჭირიათ, ერთად კი არ სახლობენ ყველანი ან იქვე კი არ აქვთ მამული, რომ გაუზომოთ. და რომ ისინი გადავასახლ-გადმოვასახლოთ ეს დიდ ხარჯს მოითხოვს, რომელსაც გაკოტრებული, გამოჩანაგებული ხაზინა ვერ იკისრებს. აგრარულ რეფორმის სფეროში რუსეთმა მოიწადინა ბევრათ წინ გაესწრო დასავლეთ ევროპისათვის:

1909 წლიდან ინგლისში არა ჩვეულებრივათ იზრდება მიწის კერძო საკუთრება. ამ ხანათ ინგლისში მიწები სულ ლორდებს ეკუთვნით. ასევე ხდება საფრანგეთში.

აშკარაა, სოციალიზაციის აღიარება გამოუსწორებელი შეცდომა იყო და იგი განუსაზღვრელ სიძნელეს მოუტანს რუსეთს.

ჩვენ არ გვწადს მიწის სოციალიზაციის პროექტის არსებითა განხილვას შეუდგეთ, ავღნიშნეთ სამწუხარო შედეგი, რომელიც წარმოშვა ხსენებულმა სოციალიზაციამ. დრ. მმართველობა ვერაფერს აწყობს აგრარულ ანარქიასთან. ამ რიგად სტიქიურ სახით თუ გაგრძელდა იგი, მაშინ ვერც დამფუძნებელი კრება მოაგვარებს საქმეს.

რუსეთის ამბებს საერთო არაფერი აქვს საქართველოსთან. ჩვენში არ არის ისეთი დიდი მფლობელობა, როგორც რუსეთშია. თითოეულ რუს მემამულის ზარალი 70 მილიონს რომ უდრის, აქ ყველას თავის საკუთრებაში ორი კვალი მიწა აქვს, როგორც ამას გლეხი ამბობს. თუ რუსეთში არ არის ხალხი მომზადებული, ქართველი გლეხობა ხომ სრულებით მოკლებულია სოციალისტურ სულისკვეთებას.

ცხოვრების რეალ პირობებს ანგარიშს არ უწევდენ, როცა ამბობდენ, მიწა და ჰაერი ერთი და იგივეა, იგი საზოგადო კუთვნილება უნდა იყოსო. უწინარეს ყოვლისა მიწა საწარმოვო საგანია და მისი ჰაერთან შედარება არ შეიძლება. მაგრამ თავი დავანებოთ ამას.

ჩვენი მიზანია, ქართველი ხალხი გავაფრთხილოთ, რომ მან კარი არ გაუღოს რუსეთიდან მოდენილ აგრარულ ანარქიის ქარს. ქართველმა ხალხმა, რომ აგრარული უწესოება დაიწყოს, ეს აუტანელ უბედურებად მოევლინება საქართველოს. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში მოხდა მიწის ძალით ჩამორთმევა, ტყის გაჩეხვა.

აი, ამაზე მიუთითებთ დღეს ქართველ ხალხს. ყველა მოწადინებულია, რომ მიწის კითხვა მიწის მუშისთვის შესაფერად და სასარგებლოთ გადასწყდეს. აგრარული რეფორმა უსათუოდ გატარდება. ამისათვის გლეხებს ყველა მიწის მუშას მმართებს ყოველგვარ აგრარულ ექსცესებს წინაალუდგეს. უკვე შემდგარია სამამულო კომიტეტი, რომელიც არკვევს მცხოვრებთათვის მიწის საჭიროებას და მუშაობს აგრარულ რეფორმისთვის. გლეხთა მხრივ თვითნებობა და უწესოება სამამულო კომიტეტის მოქმედებას ხელს შეუშ-

ლის და მიწის კითხვა გულხთა სასურველათ ვერ გადაწყდება.

ვერიდოთ აგრარულ უთანხმოებას და დაუცადოთ საქართველოსთვის მიწის კითხვის კანონიერათ გადაჭრას.

ირ—დი.

## ქართული პრესა

დრ. მთავრობის ახალი დეკლარაციის შესახებ გაზ. „საქართველო" სწერს:

ახალი მთავრობა აქვეყნებს დღეს დეკლარაციას.

საგულისხმოა, რომ არასდროს ისე მძლავრი არ ყოფილა „ბოლშევიკების" იერიში, როგორც პეტროგრადის თათბირზე, მათ შუა გაყვეს თათბირი და გარიყვას უპირებდნენ ცენზიან რუსეთს, მოსალოდნელი იყო, რომ ცენზიანი ელემენტების დათმობა ამის გამო დიდი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ახლად გამოქვეყნებული დეკლარაცია არათუ გადაიხარა უფრო მარცხნივ, არამედ, პირიქით, ყოველად უეჭველია მთავრობას არ გადაუხრია უკვე ნაჩვევ გზიდან.

პირველ ყოვლისა აქ ძალაშია მთავარი დებულება კადეტებისა, რომ ყველა მთავარი საკითხი სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებამდი უნდა გადაიდოს, ის ერთი იქნება ყველაფრის გამკითხავი და მსაჯული. ამასთან ამ დეკლარაციაში გამოტოვებულია ნაჩვევი ტრაფარეტი, რომელიც მეორდებოდა ამდენხანს ყველა რეზოლუციებში და დეკლარაციებში, რომ დამფუძნებელი კრება, რაც შეიძლება მალე იქმნას მოწვეული.

აგრეთვე იმ მუხლში, რომელიც ეხება ზავის საკითხს, გამოტოვებულია, რუსეთის რევოლუციიდან ასე შეყვარებული ფორმულა „ზავი უკონტრიბუციო და უანექსიოთ" „და ერთა თვითგამორკვევის პრინციპი", აქ მხოლოდ ზოგადად არის გამოთქმული ზავის სურვილი და თან მიმატებულია ენერგიული ფრაზა „რომ დროებითი მთავრობა შეეცდება თავისი ძალ-ღონე მოახმაროს მოკავშირეთა საერთო საქმეს, ეცდება რუსეთი სხვის ნებას არ დაუმორჩილოს და სამშობლოდან მტრის ჯარი განდევნოს".

არაფერი ახალი ხაზი არ არის შეტანილი მიწისა და ეროვნული საკითხების პრაქტიკულ გადასაჭრელად და არც სხვა რამ სფეროში არის ნაჩვენები ისეთი საშუალებანი, რომელთაც შეეძლოთ დღევანდელი რუსეთის პოლიტიკა ახალს გზაზე გამოიყვანონ.

თუ მივიღებთ მხედველობაში მთავრობის უნიათობას წარსულში, არაფერი არ გულისხმობს, რომ უკანასკნელი მთავრობა იქნება ის ძლიერი მთავრობა, რომელსაც ამდენიხანია უიმედოთ ელის რუსეთი.

## რევოლუციის ამბები.

პ. დ. ს.

დეპეშები.

**არეულობა ტაშკენტში.**

**ტაშკენტი**, ენკენ. 26. ჩამოვიდა გენერალი კოროვიჩენკო. მას მოჰყვა ჯარი და თავისუფლების სახლი დაიჭირა. გაჩხრიკეს დეპუტატთა საბჭოს შენობა, ხელთ იგდეს კასა და დოკუმენტები. შეიპყრეს დეპუტატთა საბჭოს მიერ ქალაქის კომენდანტად დანიშნული პრაპორშჩიკი გრინევიჩი. მიიმალნენ რევოლუციურ კომიტეტის წევრები, მათ შორის პერფილიევი და ჩერნიავსკი. ენკენისთვის 21-დან დაიწყო 40 პროფესიული კავშირის გაფიცვა. გამფიცველთა კომიტეტი არ აღმოუჩენიათ. ერთი კვირაა, რაც გაზეთები არ გამოსულა. სამხედრო წესები არ მოუხსნიათ. ადგილობრივი დეპუტატთა საბჭოს უარყოფით უყურებს ტაშკენტის ამბებს.

**ბალტიის ფლოტის დადგენილება.**

**ჰელსინგფორსი**. ენკ. 27. ბალტიის ფლოტის მეორე ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც წინააღმდეგია კოალიციისა და მოითხოვს დაუყოვნებლივ საბჭოების ყრილობას, მიღებულია აგრეთვე სხვა ბოლშევიკური მოთხოვნილებანი. ყრილობა მოუწოდებს სხვა ფლოტებსაც მხარი დაუჭირონ ამ დადგენილებებს.

**სასურსათო ფუნქციების განაწილება.**

**პეტროგრადი**. ენკ. 27. სასურსათო ინსტრუქტორთა და ინსპექტორთა ყრილობაზე სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მთავრობა აპირებს დამხმარებელ ორგანიზაციებს ჩამოაშოროს სურსათის განაწილების საქმე, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ვაჭრებისა და კოოპერატივების წარმომადგენლები.

**სასოფლო კომიტეტები.**

**პეტროგრადი**. ენკენ. 27. შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა ახლად შემდგარ სოფლის საზოგადოებათა საერობო კრებებს ზომები მიიღონ ყოველგვარ თვითნებურად შემდგარ სასოფლო კომიტეტების მოსასპობლად. სამინისტროს განკარგულებით სოფლის სასურსათო კომიტეტებმა სასურსათო საქმე ერობას უნდა გადასცენ.

**რკინის გზების საქმე**

**პეტროგრადი**. ენკენ. 27. დროებითმა მთავრობამ გადასდო კერძო რკინისგზათა საზოგადოებისათვის 22.629,000 მანეთი. პეტროგრადის რკინის გზის ულლის გასაფართოვებლად გადადებულია 10 მილიონი მანეთი. სახელმწიფო რკინის გზათა გაფართოვება საჭიროა ამერიკის ორთქლმავლებისათვის. ამერიკიდან 2,500 ორთქლმავალს ელიან.

**დამფუძნებელ კრებისათვის მზადება.**

**პეტროგრადი**. ენკენ. 27. სხვა და სხვა გუბერნიებიდან ცნობები მოდის, რომ დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის მზადება უკვე დაიწყო. მაჰმადიანთა ყრილობამ დაადგინა ცალკე სიით გამოსვლა. ჯარში მუშაობენ ესერები, მენშევიკები და ბოლშევ. ჯარი დიდ ინტერესს იჩენს არჩევნებისადმი.

**ანარქია სოფლათ.**

**სარატოვი**. ენკენ. 27. მთელ სერდობსკის მაზრაში უწესოება აგრარულს ნიადაგზე. ბუტინსკის მამულებში რამდენიმე ასი სული საქონელი დაჰხოცეს, დანარჩენი დაიტაცეს. ითვისებენ მიწასა და ტყეებს, დაიტაცეს აგრეთვე დიდი ძალი პური, მოსალოდნელია სპირტის დატაცება. აღმასრულებელ კომიტეტს აზრადა აქვს კერძო პირთა მამულები საადგილ-მამულო კომიტეტებს გადასცეს. უწესოება ატკარსკის მაზრასაც ედება. წესიერების აღსადგენად ჯარი მოითხოვეს.

**დებულების შემუშავება.**

**პეტროგრადი**. ენკენ. 27. დროებით მთავრობასთან არსებულ იურიდიულ საბჭოს რუსეთის რესპუბლიკის საბჭოსათვის დებულების შემუშავება დაავალეს.

**ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენლები.**

**პეტროგრადი**. ენკენ. 27. დღეს ვაჭრობა მრეწველობის ყრილობათა წარმომადგენლების საბჭომ, საგანგებო სხდომაზე, რესპუბლიკის საბჭოში გასაგზავნად 20 წარმომადგენელი აირჩია.

**ამერიკელები ციმბირში.**

რუსეთში ამერიკელ რკინის გზის კომისია ჩამოვიდა. კომისიის მიზანია დაეხმაროს რუსეთს, როგორც მოკავშირეს ციმბირის რკინის გზაზე (პეტროგრადიდან —ვლადივასტოკამდე) მოქმედების გაძლიერებაში, რომ ვლადივასტოკიდან საჭირო მასალის გამოზიდვამ ირწიოს. კომისიაში შედიან ინჟინრები: მილლერი, დარლინგი, გიბსი და გრეინერი. მათ მეთაურობს ცნობილი პანამის არხის გამყვანი სტივენსი.

## ეროვნული კითხვა.

### ფინეთი და რუსეთი.

**სეიმის არჩევნები.**

**ჰელსინგფორსი**. ენკენ. 27. თორმეტ ოლქში არჩევნები დასრულდა. 3 ოლქში დაახლოვებით ს.-დ. მიიღებენ 92 ადგილს, ბურჟუაზიული ბლოკი -64, აგრარიები -26, შვედები 17, ხოლო ლაპლანდიელებს ერთს ადგილს აძლევენ. ს.-დ. აკლდებათ 11 ადგილი. ბლოკს ემატება 8, შვედელებს აკლდებათ 4, აგრარიებს ემატებათ 7.

**ჰელსინგფორსი**. ენკენ. 26. გაზეთი „ჰუფვუდსტადს ბლადეტ"-ს აზრით ახალი წესწყობილების პროექტი ჰქმნის ძლიერ მთავრობას, რომელიც პარლამენტის უმრავლესობის ძალადობას წინააღმდეგობას გაუწევს. შემდეგ მოჰყავს პროექტის ერთ შემდგენელთაგანს—დანიელსონ კალმარის აზრი: თუ სრულიად ნეიტრალ მდგომარეობის შექმნა შეუძლებელი გახდა, მაშინ ფინლიანდია, როგორც სუვერენული სახელმწიფო, რუსეთთან თავდაცვითი კავშირით უნდა დაკმაყოფილდეს; გაზეთი დასძენს, ეს ისეთი დათმობა იქნება, რომ ამ შემთხვევაში ფინლიანდიას ან სავაჭრო და ან ტერიტორიული ხასიათის კომპენსაცია უნდა მიეცეს.

**ბელორუსთა ყრილობა.**

**მოსკოვი**. ენკენ. 27. ბელორუსთა ყრილობამ დაადგინა დამფუძნებელ კრების არჩევნებში ბლოკით შეეკრას სოც.-რევოლუციონერებს. აირჩიეს 10 კანდიდატი. [illegible] გეოგრაფიისთვის მეორე ყრილობამ უნდა შეიმუშაოს.

## მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

დეპეშები.

**აღმოსავლეთის ფრონტი.**

**რუსეთის ბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი**. ენკენისთვის 27. ოფიციალური. ჩრდილოეთის ფრონტი. სოფელ ოკულის რაიონში ჩვენს მოწინავე რაზმებს მტერმა მძიმე არტილერიით აუტეხა სროლა. პსკოვის გზატკეცილის სამხრეთით მტრის არტილერია დიდ მოქმედებას იჩენდა. სპიტალის სამხრეთ-დასავლეთით მტერმა ჩვენს ასპარეზს 2400 ყუმბარა ესროლა.

**დასავლეთის ფრონტი**. [illegible] ტბის ჩრდილო რაიონში სასტიკი საარტილერიო სროლა.

**რუმინეთის ფრონტი**. სროლა.

**კავკასიის ფრონტი**. არსებითი არა არის რა.

**ბალტიის ზღვა**. ენკენისთვის 25. 17 საათზე ირბენის სრუტეში, მიხაილოვსკის ჩირაღდნიდან 4 მილის მანძილზე ჩვენი მსუბუქი კატერები მტრის 10 კატერსა და ნაღმის მკრეფელ გემებს შეხვდნენ. გაიმართა ბრძოლა. დაიწვა მტრის ერთი ნაღმის მკრეფელი, რის შემდეგაც მტერი სამხრეთისაკენ წავიდა. ამავე დღეს მტრის 14 მფრინავი ცერელს მიუახლოვდა. რამდენიმე მათგანი, დაბლა დაეშვა და ტრანსპორტს უაიცხედის ნაღმები ესროლეს. ზარალი არ ყოფილა. ენკენისთვის 26 მტრის ჰაეროპლანებმა ცერელის ბატარეაზედ მოიტანეს იერიში. სროლა აუტეხეს აგრეთვე ცეზერსზე მდებარე სოფელ მეკლოს.

**მფრინავთა მოქმედება**. ენკენისთვის 25-ს ჩვენმა მფრინავებმა სადგურ ლოდენოსის და ქალაქ რიგის რკინის გზის სადგურს 20 ყუმბარა ესროლეს. რიგის მიმართულებით, ხინკენბერგის რაიონში შტაბს-კაპიტანმა ბრუსილოვიჩმა მტრის მფრინავი ჩამოაგდო. მუჩარის მახლობლად ფრანგ მფრინავებმა ლაკლომენმა და კულორიემ მტრის ჰაეროპლანი ჩამოაგდეს. ჰაეროპლანი დაიწვა.

**რუსეთის სტრატეგიული მდგომარეობა**

**ბანაკი**. ენკენისთვის 27. პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს უმაღლეს მთავარსარდლის შტაბის უფროსი დუხონინი ენახულა. საუბრის დროს დუხონინს აღუნიშნავს, რომ მეტად გაზვიადებულია ის ხმები, ვითომც ჯარი მთლად დაშლილიყოს და ბრძოლის ნიჭიც დაეკარგოს. მარტო იმის აღნიშვნა აქ საკმაოა, რომ ჩვენი ჯარი მტრის 1302 დივიზიას აჩერებს, ამათ, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან მონაწილეობას ღებულობს მოკავშირეთა საერთო საქმეში. ზამთრის მოახლოვების გამო ძნელად თუ შესაძლებელი რამე თვალსაჩინო შემოტევა. შესაძლოა მტერი აქა-იქ აქტიურ მოქმედებას შეეცადოს, მაგრამ ყოველი შესაძლებლობა გათვალისწინებული გვაქვს და ზომებიც მივიღეთ მის წინააღმდეგ. ზოგიერთა ცნობებით თუ მოხდება რამე, ისევ დვინის მიმართულებით, ანდა რუმინეთის ფრონტზე. რაც შეეხება საზღვაო მოქმედებას—ეს ამინდზეა დამოკიდებული. შესაძლოა მტერი შეეცადოს რიგის უბის დაჭერას. ეს შეძლებს მისცემს გაარღვიოს ირბენის სრუტე და რამდენიმე კუნძულები დაიპყრეს. მაგრამ ამის შესახებ ნამდვილი ცნობები არ მოგვეპოვება. ამ ცოტა ხანში ჩვენს კუნძულებს თავს დაესხნენ მტრის მფრინავები, მაგრამ ამათ თვალსაჩინო შედეგებისათვის არ მიუღწევიათ. საერთოდ კი ზამთრის მოახლოვებამ მეტად შესცვალა მდგომარეობა და სამხედრო მოქმედებაც შეამცირა.

**მინისტრების თათბირი ბანაკში.**

**ბანაკი**. ენკენისთვის 27. დილის 9 საათზე ჩამოვიდნენ კერენსკი, სამხედრო მინისტრი ვერხოვსკი, საზღვაო მინისტრი კონტრ-ადმირალი ვერდერევსკი და სამხედრო მინისტრის კაბინეტის უფროსი. მათ ჩამოსვლისთანავე თათბირი დაიწყო. მონაწილეობენ უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბის უფროსი დუხონინი, მისი თანაშემწე ვირუბოვი და გუშინ სმოლენსკიდან ჩამოსული ალექსეევი.

**საფრანგეთის ფრონტი. საფრანგეთის ბანაკის ცნობა.**

**პარიზი**. ენკენისთვის 24. (დაგვიანებული) მთელი დღის განმავლობაში ქვეითა ჯარს შეტაკება არ ჰქონია. ბელგიაში, მდ. ენის სხვადასხვა პუნქტებში და მაასის მარჯვენა მხარეზე დიდი საარტილერიო ბრძოლა იყო.

**ინგლისის ბანაკის ცნობა**

**ლონდონი**. ენკენისთვის 26. ოფიციალური. იპრის აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ენკენისთვის 26 დილით მოკავშირეთა ჯართან ერთად შეტევა დაიწყო.

**ლონდონი**. ენკენისთვის 17. ოფიციალური. დიკსმიუდეს ჩრდილო-აღმოსავლეთით ბროდსეინდედან—სენჟანბეკამდე, [illegible] ფრანგებთან ერთად მარჯვენა [illegible] შეტევა მოვახერხეთ. ბროდსეინდეს აღმოსავლეთით ავსტრალიის ჯარმა ხატიოვის [illegible] წაიწია. მარჯვენა ფრთის ცენტრში პოლკაპელე მთლად დაიჭირეთ. ინგლისის ვალიის და ირლანდიის ჯარმა და გვარდიელებმა გუტუფსტის ჰოლკამდე მიაღწიეს. ჩვენ ფრონტზე ფრანგები მდინარე ბრემბეს გადავიდნენ და რამდენიმე სოფელი დაიჭირეს. ამ ჟამად ტყვეთა რიცხვი 1000 აღემატება.

**აღმოსავლეთის ფრონტი.**

**ბრძოლა ეგვიპტეში.**

**ლონდონი**. ენკენისთვის 26. პალესტინაში ცვლილება არ არის. ენკენისთვის 24 გაზის აღმოსავლეთით ჩვენ ოსმალებს თავს დავესხით. მტერმა 20 კაცი დაჰკარგა.

**ახლო აღმოსავლეთი.**

**პარიზი**. ენკენისთვის 24. ბალკანის ფრონტზე ენკენისთვის 23-ს დიდი საარტილერიო ბრძოლა იყო.

**იტალიის ბანაკის ცნობა.**

**რომი**. ენკენისთვის 26. [illegible] ზეგანზე ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ ავსტრიელებმა ჩვენს მოწინავე პოზიციებს შემოუტიეს, მაგრამ ყველა იერიში მოვიგერიეთ. ვინხაცის ზეგანზე ენკენისთვის 23 არტილერია მძლავრად მოქმედებდა; ამას მოჰყვა ქვეითა ჯარის შეტაკებანი, რომლის დროსაც ტყვედ წამოვიყვანეთ 100 კაცი და ხელთ ვიგდეთ 5 ტყვიის მფრქვეველი. კარსოზე ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა.

**გერმანელთა წყალ ქვეშა გაპარვა.**

**მადრიდი**. ენკენისთვის 25. შეპყრობილი გერმანელთა წყალ-ქვეშა გაიპარა.

**რუსეთის ელჩი ესპანეთში**

**პეტროგრადი**. ენკენისთვის 27. სახელმწ. საბჭოს წევრი მ. ა. სტახოვიჩი ესპანეთის მეფესთან საგანგებო ელჩად დაინიშნა.

**მდგომარეობა ოსმალეთში**

**მოქმედი ლაშქარი**. ენკენისთვის 27. ტყვე ოსმალთა [illegible] პროვინციებში დეზერტირთა ბრბოები ანარქიას იწვევენ. სტამბოლში სრული წესრიგია, რომელსაც ოსმალეთის პოლიციის გარდა იცავენ გერმანელი მეზღვაურნი და ავსტრიელი არტილერისტები.

**ხმები გერმანეთის რევოლუციის შესახებ.**

**მოქმედი ლაშქარი**. ენკენისთვის 27 დვინსკის ფრონტზე ხმები გავრცელდა გერმანეთში რევოლუციის დაწყების შესახებ. საფუძვლად ამას დაედო გადმოსულ გერმანელთა ჩვენება, გერმანეთში მღელვარება დაიწყოვო. მეორეს მხრით მტრის ჯარის ზურგში თოფისა, ტყვიის მფრქვეველებისა და ზარბაზნის სროლა ისმოდა უშენდნენ თავისავე სანგრებს. აქ ხმებს ეჭვით შეხვდნენ. ამბობენ, გერმანელები ვარჯიშობენ და ემზადებიან იმ შემთხვევისთვის, თუ მათი სანგრები ავიღეთო.

**ბერნის კონფერენცია.**

**პარიზი**. ენკენისთვის 25. საფრანგეთის შრომის ფედერაციამ პროტესტი განუცხადა მთავრობას იმის გამო, რომ მან ბერნის კონფერენციაზე დასასწრებლად სინდიკალისტთა დელეგატებს პასპორტები მისცა.

**ზღვაზე.**

**სევასტოპოლი**. ენკენისთვის 27. ჩვენმა გემებმა დაატყვევეს ჩაით დატვირთული ოსმალთა გემი.

**გერმანელთა მამულიშვილის პარტია**

**სტოკჰოლმი**. ენკენისთვის 26. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ გერმანეთის რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიამ მიიღო დამატებითი სესხის კანონპროექტი. მის წინააღმდეგ მხოლოდ სოციალდემოკრატები წავიდნენ. დღისით საბიუჯეტო კომისიაში მიხაელისმა ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება აქვს მამულიშვილთა პარტიის ოფიციალურ აგიტაციასთან. კანცლერმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო სამსახურის პირთ უფლება აქვს თავისუფალი პოლიტიკური რწმენისა, მაგრამ მათგან ისე ძალდატანებით რომ ამა თუ იმ პარტიის რწმენა გაიზიარონ სხვებმა,— შეუწყნარებელია. კონსერვატიულ პარტიის [illegible] პოლიტიკური აგიტაციის წინააღმდეგ ილაპარაკა. მან აღნიშნა, რომ საჭიროა ბრძოლა იმ [illegible] ძალის წინააღმდეგ, რომელიც [illegible]. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჭიროა მოისპოს ის აგიტაცია, რომელსაც საზავო ნოტაზე გაცემულ პარტიის წინააღმდეგ აწარმოებენ. დასასრულ მიხაელისმა აღნიშნა, რომ მხოლოდ 5 შემთხვევა იყო ისეთი, რომ უფროსები ცდილობდნენ პოლიტიკური გავლენა მოეხდინათ მის ხელქვეითებზე.

**არეულობა გერმანეთის ფლოტში**

**სტოკჰოლმი**. ენკ. 24. ვოლფის სააგენტო იუწყება: საზღვაო მინისტრმა ფონ-კაპელემ რეიხსტაგში შემდეგი განაცხადა: „სამწუხაროდ, რუსეთის რევოლუციამ ჩვენს ფლოტში ზოგიერთ პირებს რევოლუციური იდეები გაუცხოველა. აზრათ ჰქონდათ ფლოტის დაშლა და ზავის ძალად მოხვევა (ხმები მარჯვნიდან სირცხვილია"). მე წინადადება მივეცი ფლოტის უფროსებს, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ ფლოტში აგიტაციის გავრცელებას. ფლოტში მომხდარ ამბების შესახებ მე აქ სიტყვას არ გავაგრძელებ. ზოგიერთებმა დაივიწყეს თავისი მოვალეობა, და დიდ დანაშაულისათვის კიდეც დაისაჯნენ, მაგრამ ფლოტში ერთ წუთსაც არ ყოფილა ისეთი მდგომარეობა, რომ რაიმე საფრთხე განემზადებინა. ასე იქნება შემდეგშიც". მინისტრის შემდეგ სოციალ დემოკრატმა დავიდმა ილაპარაკა. იგი მოითხოვდა რომ მოესმინათ დასჯილების განმარტება. დამოუკიდებელმა სოციალისტმა ჰააზემ მინისტრს დამტკიცების წარმოდგენა მოსთხოვა. ჰააზეს სიტყვით, როგორც მისთვის ერთ მეზღვაურს გადაუცია—მეზღვაურები მეტად უკმაყოფილო არიანო. დამოუკიდებელი სოციალისტი ფოტგერი აცხადებს: მინისტრის სიტყვით შესაძლოა ისეთი შთაბეჭდილების გამოტანა, თითქოს გეგმას ჩვენ ვამლევდეთ, ეს ტყუილია. დამოუკიდებელი სოციალისტი დიტმანი აცხადებს, რომ იმასაც ჰქონდა საუბარი მეზღვაურებთან, მაგრამ იმ გეგმების შესახებ— რომლებსაც ფონ-კაპელლე იხსენიებს კრინტიც არ დაუძრავთო.

## ახალი ამბავი.

ქუთაისი.

**კათალიკოზის კურთხევა**. დღეს მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძარში შესრულებული იქნება წირვა, რომელზედაც ქართველი ეპისკოპოსები შეასრულებენ ეკლესიურ წესს—ეპისკოპოზს კირიონს სრულიად საქართველოს კათალიკოზათ აკურთხებენ.

✦ **დელეგატების წასვლა**. გუშინ ქუთაისიდან განსაკუთრებულ ვაგონით მცხეთას გაემგზავრენ იმერეთის საეპარქიო მმართველობის დელეგატები კათალიკოზის კურთხევაზე დასასწრებლათ.

✦ **სასწავლებლის გადაკეთება**. საეპარქიო ქალთა სასწავლებელი, თანახმად საეკლესიო კრების დადგენილებისა, გადაკეთებულია საეპარქიო ქალთა გიმნაზიით. სასწავლებელში ყველა კლასებში წელსვე ნაციონალიზაცია მოხდება.

✦ **უბედური შემთხვევა**. ენკენისთვის 30-ს სადგ. შორაპანთან რკინის გზის მატარებელმა წაჰქცია და ხელ-ფეხი მოსწყვიტა [illegible] ზესტაფონში მომავალ ერთ მოწაფეს. მოწაფის ვინაობა ჯერ არ გამოურკვევიათ.

✦ **დასავლეთ საქართველოს საშუალო სასწავლებელთა მასწავლებლების კრება** დანიშნულია დღეს ოქტომბრის 3-რეულს საღამოს 6 საათზე (ძველი დრ.) კლასიკურ გიმნაზიის შენობის დარბაზში. განსახილველია საგნები:

1. მთავრობის დაწესებულებათა მოსამსახურეების გაფიცვა და მასთან დამოკიდებულება, 2. ქალაქის საბჭოსთან არსებულ სასკოლო კომიტეტთან დამოკიდებულება, 3. გამგეობის წევრების არჩევნები.

✦ **მოწაფეთა კრება**. დღეს 1 ოქტომბერს, დილის 12 საათზე, კლასიკურ გიმნაზიის დარბაზში გაიმართება ყველა სასწავლებლის მოწაფეთა კრება. განსახილველია შემდეგი კითხვა: „მოწაფეთა სასადილოს დაარსება" და სხვა.

შემდეგ კიდევ ვიმსჯელეთ და დავადგინეთ, მოვველაპარაკებია, თუ ორგანიზაციას რა სახე უნდა მიეცეს.

რა უნდა გაგვეკეთებია? იმ საქონელს, რომელთაც მონოპოლია უჯევს, რომ ვერ მივიღებდით ეს ჭეშმარიტებაა, მხოლოდ საქმის გაუმჯობესება კი შეიძლება. გარდა ფქვილისა არის სხვა საქონელი, რასაც დიდი და აუცილებელი მოთხოვნილება აქვს. მაგალითად: სიმინდი, ლობიო, მარილი, რკინეულობა და სხვა. არის ისეთი სანოვაგეები, რომრაც ამიერ კავკასიის საზღვრებში მოიძებნება. ასეთ სანოვაგეს ვაჭრები უფრო გამოძებნიდა, მოიტანდა და საზოგადოებას მიაწვდიდა. მე ვიცი ქუთაისში ვაჭარი, რომელმაც ფოთიდან ნავებით მოიტანა ორპირამდის საქონელი. და ეს მოხერხებაა, რაც ვაჭრებს ეადვილებათ.

ჩვენ ასეთი შენიშვნაც მოგვცეს: რატომ მანიუფაქტურას არ აქცევთ ყურადღებასო. მანუფაქტურის შოვნა ძლიერ სძირს და მერმე მეტად ჭძვირობს, ამისთვის კარგი იქნებოდა გვეშოვნა მატყლი, დაგვემზადებია შალი და საზოგადოების მოთხოვნილება დაგვეკმაყოფილებია.

აგრეთვე ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევდით ადგილობრივი ჭირნახულის მოსავალს. აზრათ გვქონდა გამოგვეძებნა ისეთი პურის თესლი, რომელიც ჩვენი მიწის ნიადაგს შეეთვისებოდა და კაი მოსავალს მოგვცემდა.

ეს ჰქონდა ვაჭართა საზოგადოებას აზრათ და, თუ ნებას დაგვრთავთ, ეხლაც მზათა ვართ საქმე მოვაგვაროთ.

დაგვიყენესს აგრეთვე ასეთი წინადადება: მიიღეთ პასუხის მგებლობით ყველაფერი თქვენს თავზე და ჩვენ გადავდგებითო, მაგრამ, როგორც ხედავთ ასეთი წინადადება მიუღებელია, რადგანაც სასურსათო საქმეებს არამც თუ ერთი ჯგუფი საზოგადოებისა, არამედ მთელი სახელმწიფოც ვერ უძლევს ისე, როგორც ეს სასურველია.

ჩვენი უკანასკნელი სიტყვა ასეთია: თუ მოგვცემთ ნებას, საქმეს დავიწყებთ არა მოგებისათვის, არამედ საზოგადოების კეთილდღეობისათვის.

**გრ. გველესიანი**: უკვე გვიან არის. ამ რთულ კითხვებს ამ კრებაზე ვერ გავარჩევთ. მივიღოთ ქალაქის მოურავის მოხსენება, ხოლო დანარჩენი შემდეგ კრებაზე გავარჩიოთ.

გველესიანის წინადადება კენჭის ყრით გადის.

**თავმჯდომარე** წინადადებას იძლევა, რადგანაც ეს რთული კითხვებია და დაყოვნებას არ მოითხოვს შემდეგი კრება ხვალისთვის დავნიშნოთო.

**გრ. გიორგაძე**: ავირჩიოთ დღესვე სასურსათო კომისია, რომელიც გაეცნობა სასურსათო საქმეებს. ეს კომისია იმოქმედებს ერთად სასურსათო კომიტეტთან. მან უნდა მიაქციოს ყურადღება სპეკულიაციის მოსპობას. ის იქონიებს მოლაპარაკებას ვაჭართა საზოგადოებასთან, გადახედავს სანოვაგის ფასებს, მეეტლეთა კითხვას, წყლის კითხვის მოგვარებას და სხვ. კრება გადავდოთ, სანამ კომისია საქმეს გაეცნობოდეს.

**ხმ. თალაკვაძე**: ყურადღებას აქცევს ქალაქში ფქვილის განაწილების საქმეს და ამბობს, რომ მოეწყოს პურის გამოცხობის კითხვა მუნიციპალურ ნიადაგზე კოოპერატივებისა და საბჭოს შეთანხმებით. საჭიროა აგრეთვე შემოვიღოთ ბარათები, როგორც ეს შაქარზეა.

**თავმჯდომარე**: მაშ ავირჩიოთ სასურსათო კომისია.

კამათის შემდეგ დაადგინეს, რომ სასურსათო კომისია არჩეულ იქმნას 7 კაცისაგან.

ასახელებენ კანდიდატებს.

ს. დემოკრატები: ს. ლეკვეიშვილს, ჭლიგულაშვილს და გიორგობიანს. ს. რევოლ. გ. ბრეგაძეს და ელიაშვილს.

კენჭის ყრით დასახელებულ კანდიდატებს ირჩევენ.

თითო ადგილი ცარიელი დასტოვეს ეროვ. დემოკრატებისათვის და ს. ფედერალისტებისათვის.

ქალაქის სასურსათო კომიტეტის წევრებათ ერთ ხმათ აირჩიეს ს. დემ. კუპრაძე, გეგელაშვილი და სხირტლაძე, ს. რევ.: გაფრინდაშვილი და მახვილაძე.

არჩევნების შემდეგ გაიმართა კამათი შემდეგი კრება იმის შესახებ თუ როდის დანიშნულიყო. თავმჯდომარე მოითხოვდა ხვალისათვის დაენიშნათ, რადგანაც შემდეგ მას აღარ ეცლებოდა.

**გრ. გიორგაძე**: თქვენ თუ არ გეცლებათ, ჩვენ თავმჯდომარის ამხანაგს ავირჩევთ.

წინადადება შემოდის, კრება რამდენიმე წუთით შესვენდეს.

კრება შეწყდა. განახლებისას ს. დემოკრატები თავმჯდომარის ამხანაგათ ასახელებენ ს. გეგელაშვილს, ს.-რევოლუციონერები კი ი. ი. გობეჩიას.

კენჭის ყრით ორივეს ირჩევენ.

**ცხაკაიას თხოვნის გარჩევა.**

რამდენიმე ხმოსანი თხოულობს, რომ დღესვე გარჩეულ იქნას წყალტუბოს უბნის მეორე პირველ დაწყებითი სასწავლებლის საპატიო მეთვალყურისა, ცხაკაიას შუამდგომლობა რომ ქალაქს ხსენებული სასწავლებლისთვის დაეთმო საკუთარი სახლი, რომელიც სდგას მესხეთის ქუჩაზე.

კრებამ მსჯელობის შემდეგ დაადგინა რომ ცხაკაიას თხოვნა დაკმაყოფილებულ იქმნას.

**რეალურ სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოში წარმომადგენლის არჩევა**

კრებამ თანახმად რეალური სასწავლებლის დირექტორის გაჩეჩილაძის მოწერილობისა, ხსენებულ სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს შემადგენლობაში აირჩია ხმოსანი ს. თოფურია.

წმ. ნინოს სასწ. პედაგოგიურ საბჭოს წარმომადგენლათ არჩეულ იქნა ა. სვანაძე

კრებამ დასასრულ გაარჩია მოწერილობა მეღვინეობისა და მევენახეობის ქუთაისის გუბერნიის კომიტეტისა მოწერილობა შესახებ იმისა, რომ საბჭოს ხსენებული კომიტეტის წევრათ აერჩია ერთი ხმოსანი. კამათის შემდეგ თავმჯდომარე წინადადებას იძლევა, რომ კანდიდატი დაასახელონ. ფრაქციები ხმას არ იღებენ. თავმჯდომარე ხელ-მეორეთ მოითხოვს დაასახელონ კანდიდატი.

ს. დემოკრატები ასახელებენ ს. რევოლუციონერს ი. გობეჩიას.

**ალ. გაფრინდაშვილი**: თქვენ ნება არ გაქვთ ჩვენი ფრაქციიდან დაასახელოთ თუ ეს საჭირო იქნება ჩვენ ენა გვაქვს და ჩვენ თვითონ დავასახელებთ.

ს. დემ-ები შემდეგ ასახელებენ ა. ვაშაკიძეს. იგი ერთხმათ იქნა არჩეული.

თავმჯდომარე კრებას დახურულათ 12 ნახევარ საათზე აცხადებს.

ნ-რი.

## დამფუძნ. კრებისთვის მცხოვრებთა აღმწერლების კრება.

28 ენკენისთვეს, დღის 12 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგება იმ ახალგაზრდათა კრება, რომელთაც სურვილი განაცხადეს დამფუძნებელ კრებისათვის მცხოვრებთა აღწერაზე მუშაობა გასწიონ. კრებას განსაკუთრებულმა კომისიამ განუმარტა რეგისტრატორებს, თუ რა მოვალეობა უნდა იკისრონ. კომისიას სხვა ახალი მაინცადამაინც არასფერი უთქვამს და არსებითად არც შეხებია რეგისტრატორების მოვალეობის აღსრულების განმარტებას. კრების განსაკუთრებითი ყურადღება მიიპყრო რეგისტრატორების დღიურ ფასის კითხვამ. კომისიამ ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებისამებრ, განაცხადა, რეგისტრატორებს დღეში 5 მანეთი მიეცემათო.

ამან გამოიწვია დიდი უკმაყოფილება, რეგისტრატორებმა ეს შრომის საფასური ძლიერ მცირედ მიიჩნიეს, და ყველა ერთხმათ მოითხოვდა დღიური შრომის ფასის მომატებას.

ამაზე ერთმა კომისიის წევრმა განაცხადა: „თქვენ თუ არ დასთანხმდებით, ჩვენ სხვა გზა და სხვა საშუალებაც გვაქვს, რომ ეს საქმე შევასრულოთო". კომისიის წევრის ამნაირმა უადგილო განცხადებამ გამოიწვია ის რომ რეგისტრატორებმა დარბაზი დასტოვეს და ცალკე კრება გამართეს.

კრებაზე კი შემდეგი დადგენილება გამოატანეს: 1. წარუყენოთ კომისიას შემდეგი მოთხოვნილება: იმ რეგისტრატორს, რომელიც წავლენ თავის სოფელში სამუშაოთ მიეცეს დღეში 10 მანეთი და გზის ქირა; ხოლო იმ რეგისტრატორებს, რომელთაც უცხო სოფელში მოუხდებათ მუშაობა მიეცეს 15 მანეთი და გზის ფული.

2. უკეთუ კრების დადგენილება ხელფასის შესახებ არ იქნება დაკმაყოფილებული, მივმართოთ ყველა სოფლის მასწავლებლებს და მღვდლებს რომ მხარი დაუჭირონ ჩვენს მოთხოვნილებას და არავითარ შემთხვევაში ჩვენს დაუკითხავათ მონაწილეობა არ მიიღონ აღწერაში. ამნაირ გადაწყვეტილების შემდეგ კრება დაიშალა.

რეგისტრატორი ივ. კანდელაკი.

## მოწერილი ამბები.

### ქ. გორი.

ერთი დიდი ნაკლულოვანება ქართველი კაცის ის არის, რომ იგი ვერ ასცილდება, ასე ვსთქვათ, „კუთხურ" ინტერესებს; იგი მარტო თავის მხრის ცხოვრებით სცხოვრობს და იმაზედ არ ფიქრობს, შეიტყოს, თუ რა ხდება სხვა კუთხეში, მის სამშობლოს სხვა მხარეს; ქართველი კაცს აკლია საქართველოს მთლიანობის შეგნება. ეს ითქმის არა მარტო უბრალო ხალხზედ, რომლის წევრთა შორის ხან და ხან მოიპოვებიან სრულიად საქართველოს ცხოვრებით დაინტერესებულნი, არამედ კარგა დიდ ნაწილზედაც ინტელიგენციისა. მე მსურს დავარღვიო ასეთი წესი ფრიად ანორმალური და იმერეთსაც ვამცნო ხოლმე დროებით, თუ რა ხდება იმერეთში და რას ჰფიქრობენ იქ მოსახლენი. ამ ჟამად მოგახსენებთ სახალხო მასწავლებლებზე. არსებობს თფილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა კავშირი, რომლის ფილიალური განყოფილებანი იმყოფებიან სხვა და სხვა ადგილის და სხვათა შორის ქ. გორშიც 24 ენკენისთვეს გორის ფილიალურ განყოფილების წევრთა კრება იყო, სადაც ბევრ სხვა და სხვა საკითხებზედ იმსჯელეს და ისაუბრეს; მე აქ ყველა საკითხებს არ შევეხები, არამედ მოვიხსენიებ ისეთებს, რომელნიც საზოგადო ხასიათს არ არიან მოკლებულნი. აი ეს საკითხები: რევოლუციის გამარჯვებისთანავე თბილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელნი შეიყარნენ და სხვათა შორის დაადგინეს, რათა სარაიონო ინსპექტორებს სახალხო სკოლებისას მთავრობა ნუ-კი დანიშნავს, არამედ ეს მათი უფლება იყვეს და მთავრობამ დამტკიცოს ის პირი, რომელსაც მასწავლებლობა სურს. ამ აზრით მარიამობისთვის გასულს მასწავლებლები შეიყარნენ თბილისში და სამ კანდიდატიდან-ნ. შიუკაშვილი, გ. ჭუმბურიძე და ივ. გომელაური—ამოირჩიეს ორი პირველი. ნ. შიუკაშვილმა მიიღო 64 ხმა (სულ იყო 72 მასწავლებელი) ჭუმბურიძემ 50-მდე და გომელაურმა 31 ხმა. პატარა ხნის შემდეგ გაზეთებში იყო მოთავსებული ცნობა, რომ საქალაქო სასკოლო კომისარიატმა ინსპექტორად ანუ როგორც ეხლა ეძახიან სახალხო სკოლების კომისრად დანიშნა ივ. გომელაურიო; ამ გარემოებამ მასწავლებელნი ააღელვა და თბილისში გაგზავნეს დელეგაცია პროტესტის განსაცხადებლად. ითხოვენ გომელაურის მაგივრად ნ. შიუკაშვილის დამტკიცებას, რადგანაც მან მიიღო ხმათა დიდი უმრავლესობა, და თუ საოლქო სასკოლო კომისარიატმა ეს სურვილი არ შეუსრულა მასწავლებლებს, მაშინ უკანასკნელნი იტოვებენ უფლებას თავისუფალ მოქმედებისას.

მასწავლებლებმა იმსჯელეს აგრეთვე თავის უმწეო მდგომარეობაზედ ეკონომიურად; ეს საკითხი ყოველთვის დიდ აურ-ზაურს იწვევს; გადაწყვდა დაიწყონ სწავლა იმ თაჟით და ეხლავე მიეცეს მთავრობას წინადადება, რათა მასწავლებელთა მდგომარეობა გაუმჯობესებულ იქმნას! ხოლო თუ იგინი არ დაკმაყოფილდეს, მაშინ ერთი თვის შემდეგ გაიფიცებიან. თფილისში გაგზავნილ დელეგაციას დაევალა, ესეც ამცნოს საოლქო სამასწავლებლო კომისარატს.

ხოხო.

## სოფ. კაცხი

(შორაპნის მაზრა)

ამა წლის 14 ეკენისთვეს, ჭიათურის რაიონის კომისრის მოწოდებით, შეიკრიბა ყრილობაზე კაცხის საზოგადოების სამასამდე მცხოვრები.

კაცხის საზოგადოებას შეადგენს 1100 კომლი, ასე რომ საშუალოდ კომლზე რომ 3 სული მივიღოთ, 3000 სული კაცი და ქალი მაინც იქნება. მაშა-სადამე ამ საზოგადოების კრება კანონიერი იქნება 2000 კაცისგან თუ შესდგა, ე. ი. $^2/_3$ ნაწილი. საზოგადოებისა და ამ კრებაზე კი, როგორც ზევით ნათქვამია, მხოლოდ ერთი მეათედი ნაწილი საზოგადოებისა იყო, ე. ი. 300 კაცი. მიუხედავად ამისა, კომისარმა ბ-მა ჭანიშვილმა მაინც კანონიერათ ჩასთვალა ეს კრება. უფ. კომისარმა თითქმის 3 საათის განმავლობაში უქადაგა ხალხს: თუ რკინის ბორკილების დამტვრევაზე, რომელშიდაც ვითომც ისიც მონაწილეობას იღებდა, თუ ძველად გაბატონებულ წოდებაზე რომელიც საწყალი ხალხის ზურგზე სუქდებოდა და მათი ნაოფლარით მტარვალი მართებლობის შეწევით იკვებებოდა, რომ დღეს წაერთვა მათ ბატონობა და დღეიდან ხალხმა უნდა იბატონოს მათზე! „თუმცა ისინი დღეს ხალხს გვერდით გიდგიან, ხელს გაძლევენ ტკბილად გელაპარაკებიან, მაგრამ არ მოსტყუვდევ და არ გაიკაროთ, რადგან ისინი თეთრ კბილებს გიჩვენებენ და გული კი შავი აქვთ და როცა მარჯვე დროს გიპოვიან, მტრულის ხელით დანას გულში ჩაგცემენო. ამასთანავე აშინებდა ხალხს: მე ამა და იმ უფლებით ვარ აღჭურვილი; სასტიკ ზომებს მივიღებ და ასე და ასე მოვექცევი, ვისაც წინააღმდეგობას შევატყობო"-, და სხვა ამგვარი. ბოლოს დროს გამოუცხადა ხალხს: თქვენ კომისარი გყავთ ამოსარჩევი, რომლის ამორჩევის უფლება აქვს სოფლის კომიტეტს და არა საზოგადოებას და შეეკითხა ხალხს, ანდოთ თუ არა კომიტეტს მის ამორჩევას?

რამოდენიმე პირმა გაბედა და შეკადრა: ეს მეხუთედ გვიწვევთ ამ კითხვის გადასაწყვეტად და ჩვენ ყოველთვის დაგისახელეთ ჩვენი სანდო და სასურველი პირი კომისრად, მაგრამ თქვენ არ მიიღეთ თუ ჩვენ გვეკითხება, ვერავის მივანდობთ მის ამორჩევას და თვით ჩვენ ამოვირჩევთ და, თუ ჩვენი უფლება არ არის და გსურთ კომიტეტს მივანდოთ, ჯერ ჩვენი სანდო კომიტეტი ამოგვარჩევინეთ და მას მერე მივანდობთო.

ეს პირები კომისარმა მილიციონერებს დააჭერინა და გააყვანია კრებიდან! ამის შემდეგ შეშინებული ხალხი გულ ხელ დაკრეფილი, გაჩუმებული იდგა და ვეღარაფერზე უარის თქმა ვეღარ გაბედა. იმაზედაც კი ვეღარ გაბედა უარი, როდესაც კომისარმა ურჩია ადგილობრივ საქალებო სასწავლებლის დახურვა და შეერთება მისი 2-კლ. სავაჟო სასწავლებელთან. მით უმეტეს იმ საქალებო სასწავლებლის დახურვის ნება არ ქონდა ამ უკანონო კრებას, რომელიც სამასი კაციდან შესდგებოდა და რომელშიდაც $^2/_3$ სოფ. ვაჭევის მცხოვრებლები იყო, რომელთაც თავისი საკუთარი სკოლა აქვთ, არავითარ ხარჯს არ იხდიან კაცხის სავაჟო და საქალებო სასწავლებლების შენახვაზე და არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ მათთან? ნუ თუ დღევანდელ თავისუფლების დროს, როგორც ძველი რეჟიმის ხანში იმ ზომებს უნდა ღებულობდენ ხალხის შესაშინებლად, რომელ ზომებსაც პრისტავები ხმარობდენ?! ნუ თუ ახალ-ახალი სკოლების გახსნის მაგივრად, რამოდენიმე უმგვანო პირის სურვილის შესასრულებლად არსებულ სკოლებს უნდა ხურავდენ?! ნუ თუ ხალხს არ უნდა ექნეს უფლება თავის აზრის წარმოთქმისა იმ კითხვებზე, რომელთაც მათ კრებაზე მიმართავენ?!

ნუ თუ ხალხს თავისუფლებით მონიჭებული უფლება უნდა აეხადოს და ოპეკა უნდა დაენიშნოს?! ნუ თუ მოსაწონია წოდებრივი მტრობა და შური უქადაგონ ხალხს და ურჩიონ რომელიმე წოდების მოსპობა?! ნუ თუ ნაცვლად ერთობისა, ძმობისა, სამართლიანობისა და სიყვარულისა, უნდა ურჩევდენ ხალხს „დღეიდან თქვენ უნდა იქნეთ მათი ბატონები, რაც თქვენ აქამდინ გბატონობდათ?!

დანიშნულ კრებამ მეორე დღეს, კაცხის კომიტეტმა კომისრად ამოირჩია აზნაური [illegible] მასხარაშვილი და მის მწერლად აზნაური ვლადიმერ საყვარელიძე და ორივეს დაენიშნა წლიურათ ჯამაგირი 1320 მან. აი როგორ ოოლს თამაშობს დღესაც ნათლიმამობა, ნათესაობა და მეგობრობა! ორივე ამორჩეული პირნი ძველ დროს სოფლის კანცელარიის მწერლად ნამყოფნი არიან და საზოგადოებისგან საკმაოდ გაცნობილნი და არა სასურველნი! ამისათვის დაამძლეს ხალხს კომიტეტისთვის მიენდო კომისრის ამორჩევა! ყოველივე ამით ხალხი მეტად აღელვებული და სასოწარკვეთილი ამბობს: „ჩვენი საშველი არ ყოფილა და რაც უწინ პოლიციისაგან გვემართებოდა, უარესი ახლა გვემართებაო!!

მეთვალყურე.

რედაქტორ-გამომცემელი

დ. ბ. კვირკელია

## რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

### ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 | წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 49 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 | „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. | „ |
| | დილის — | 9 ს. 10 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

### ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8 ს. 25 | „ |
| „ | — ღამის — | 10 ს. 20 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 1 | „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 | „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 | წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 | „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 | „ |


## ექიმები

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **მარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი.
მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.

**ნიკოლოზ საბაევის** ბაღში ბათუმის მახლობლათ ისყიდება საუკეთესო ხარისხის ერთ წლოვანი და სამნახევარ წლოვანი

# მანდარინის ნერგები.

რომელიც ამა შემოდგომაზე დარგული უკანასკნელი მომავალი, წლისთვის მისცემს ნაყოფს. აქვე ისყიდება **ლიმონის** და **ფორთოხლის** ნერგებიც. მისამართი: ბათუმში საბაევის მაღაზიაში.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო გაზეთ

# „ხმა ქართველი ქალისა"-ზე

გაზეთი გამოდის ყოველ კვირაში ხუთშაბათობით **კატო მიქელაძის რედაქტორობით.** წლის დამლევამდე (პირველ იანვრამდე) გაზეთი ღირს 3 მ. თვეში 1 მ. ხელის მოწერა მიიღება: „ძმობის" სტამბაში ქ. ქუთაისი, პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელოვისა. ანნა ლადუასთან ბალახვანის ქ. № 6. ჭიათურაში: ანნა წუწუნავასთან, ხონში: ლუბა პეტრეს ასული სანოძესთან, თბილისში: ეკატერინე გრიგოლის ასული მესხთან Красногорская № 31, ოზურგეთში: საფო მგელაძესთან, და მოსე თალაკვაძის წიგნის მაღაზიაში, ფოთში: ლუდმილა ქავთარაძესთან, ახალ სენაკში მასწავლებელ სოფიო არჩაიასთან, ძველ სენაკში ელენე ჩხეტიასთან, სამტრედიაში აგაშა სტურუასთან და ნოე კალანდაძესთან, კულაშში: მასწავლებელ ელისაბედ ლოლობერიძესთან.

**მისამართი:** ქ. ქუთაისი „ძმობის" სტამბა, პუშკინის ქუჩა. კატო მიქელაძე.


სტამბა „ძმობა" პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში